

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

**სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება	4
ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება	5
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	6

ანგარიშგებებზე თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:

შენიშვნა N1 ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები	7
შენიშვნა N2 ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	13
შენიშვნა N2a მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები	14
შენიშვნა N3 მატერიალური მარაგები	16
შენიშვნა N4 სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	17
შენიშვნა N5 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	18
შენიშვნა N6 მირითადი აქტივები	19
შენიშვნა N8 არამატერიალური აქტივები	21
შენიშვნა N13 კრედიტორული დავალიანება, ანარიცები და სხვა ვალდებულებები	23
შენიშვნა N14 შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან	24
შენიშვნა N15 შემოსავლები გაუვლითი ოპერაციებიდან	25
შენიშვნა N17 დარიცხული ხარჯები	26

ანგარიშგების ბოლო გვერდია 27

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის საგენტო
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სსიპ დეპოზიტების დაზღვევის საგენტოს (შემდგომში „საგენტო“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას 2021 წლის 4 თებერვლის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #24-ით დამტკიცებული „სამიუჯტერ თრგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასახუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაყენებას.

ხელმძღვანელობა აგრძელებულია პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შეიდა კონტროლის ეჭვექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილომრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიღლოს მისათვის გონივრულობის ფრთვლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას საგენტოს აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვდებას თაღლიათობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგრადულობით დასრულებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმისაწვდომია ხელმძღვანელობის მიერ.


ლევან თოლევა
საგენტოს უფროსი
თარიღი: 21 ოქტომბერი, 2024

ლევან
თოლევა

მანანა ფარტენაძე
ფინანსური მენეჯერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ხელმძღვანელობას

ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1,

თბილისი 0114, საქართველო

მოსაზრება

ჩვენ ჩავტარეთ სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის აგრეთვე ფინანსური შედეგების, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებებს წლებისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია 2021 წლის 4 თებერვლის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #24-ით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავტარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ას-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სააგენტოსგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საგჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გავრცელების და გამოყენების შეზღუდვა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N1-ის 2.1 მუხლზე, სადაც აღწერილია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია რათა დააკმაყოფილოს ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნები. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ გამოდგეს სხვა მიზნებისათვის. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანების საღრიცხვო პოლიტიკა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N1-ის 2.13 მუხლზე, სადაც აღწერილია საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანების საღრიცხვო პოლიტიკა. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანამდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე 2021 წლის 4 თებერვლის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #24-ით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სააგენტოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას გამოწრახული აქვს სააგენტოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან სააგენტოს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასე-გა შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძლებულებების მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციებს განზრობებას, გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იუნიტებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სააგენტოს შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პრობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სააგენტოს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკინოთ, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ან, თუ ამგარი განმარტებითი შენიშვნები ადგევატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მიღილი გარემოების ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სააგენტო უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 21 ოქტომბერი, 2024

თბილისი, საქართველო



სსია დეაორიუეითი და ტლევეითი სააგენტო
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

სტრიქონი ის კოდი	დასახელება	შენიშვნა*	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
001	ფულადი სახსრები და მათი კვირვალუნიტები	N2	6,375,281	3,728,914
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2s	50,996,468	42,716,569
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2s	15,663	-
004	მატერიალური მარაგები	N3	-	9,985
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	-	57,387,412
006	სულ მოკლევადიანი აქტივები			46,455,468
გრძელვადიანი აქტივები				
007	ყრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	135,435,768	90,911,466
008	მიმდინარე აქტივები	N6	35,632	34,613
009	საინვესტიციო ქონება	N7	-	-
010	არამატერიალური აქტივები	N8	735,584	826,375
011	შეღავათიანი მოშაბურების აქტივები	N9	-	-
012	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	N10	-	-
013	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	N11	-	136,206,984
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		193,594,396	91,772,454
015	სულ აქტივები			138,227,922
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
016	მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
017	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N12	-	-
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	N13s	19,800	3,930
019	გადასახურელი პროცენტი	N13s	-	-
020	მიმდინარე ანარიცხები	N13s	-	-
021	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13s	-	-
022	ვალდებულებები დეპოზიტებით	N13s	-	-
023	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	N13s	-	-
024	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,800	3,930
გრძელვადიანი ვალდებულებები				
025	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
026	გრძელვადიანი ნასესხები თანხები	N12	-	-
027	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ფინანსური იჯარით	N10	-	-
028	შეღავათიანი მოშაბურების შეტანებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N9	-	-
029	გრძელვადიანი ანარიცხები	N13s	-	-
030	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13s	192,807,517	137,356,949
031	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		192,807,517	137,356,949
032	სულ ვალდებულებები		192,827,317	137,360,879
წმინდა აქტივები/კაპიტალი				
033	კაპიტალში მემნავები		767,079	867,043
034	გაუმარტინებული ნაშენები/დეფიციტი		767,079	867,043
035	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		193,594,396	138,227,922
036	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი			

* მითითებულ შენიშვნებში ასახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია
მანანა ფარტენამე
ფინანსური მენეჯერი

სააგენტოს უფროსი

თარიღი: 21 ოქტომბერი, 2024

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშებია
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცუმულია დარში

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგვება

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა*	საანგარიშებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშებო პერიოდის ბრუნვა
			საბოლოო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
	შემოსავლები	N14 ა	-	-	-	-
001	საგადასხვადო შემოსავლები	N14 ა	-	-	-	-
002	სოფიალური შემოსავლები	N14 ბ	-	-	-	-
003	შემოსავლები სამსახურით, ჯარიმებით და საურავებით	N14 ბ	-	-	26,040	-
004	შემოსავლები ურანის შემოსავლებით	N14 ბ	-	-	-	-
005	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	N14 ბ	-	-	-	-
006	შემოსავლები შედებულებით	N14 ბ	-	-	-	-
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერატორის გარეუქინებულისა და გრძელვადისი აქტივების გაყიდვით მიღებული შემოსავლებისა	N15ა	912,871	912,871	1,604,818	-
008	გრძელვადის აქტივების გაყიდვის გარეუქინებული მიღებული მოგება	N15ბ N17ა**	-	-	-	-
009	საპროცესურო შემოსავლები	N15ა	-	-	-	-
010	საეჭვო (უამეტო) მოთხოვების/გაუფასურების/დორესულების შემცირების უკაგარებით შემოსავლები	N16	-	-	-	-
011	სხვადასხვა შემოსავლები	N18	-	-	-	-
012	სულ შემოსავლები		912,871	912,871	1,630,858	-
	ბარჯები	N17ა	427,108	427,108	330,698	-
013	შრომის მაზრაურებები	N17ა	414,443	414,443	539,574	-
014	საქართველო და მომსახურება	N17ა N17ბ N17ბ	51,846	51,846	121,448	-
015	ურანის გარე ტრანსფერები, სხვა ხარჯები და სუბსიდიები	N17ა	-	-	-	-
016	შედებულების გარეუქინებით ხარჯები	N17ა	722	111,772	112,494	108,383
017	დეკადა და ამორტიზაცია	N17ა	-	6,944	6,944	2,019
018	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	N17ა	-	-	-	-
019	გრძელვადის არაუქინისური აქტივების გაყიდვების მიღებული ზარალი	N15ბ	-	-	-	-
020	საპროცესურო ხარჯები (უამეტო ხარჯები)	N 17ა N18	-	-	-	-
021	საეჭვო (უამეტო) მოთხოვების/გაუფასურების/დორესულების შემცირების ხარჯები	N 17ა	-	-	-	-
022	სხვადასხვა ხარჯები		722	1,012,113	1,012,835	1,102,122
023	სულ ხარჯები		(722)	(99,242)	(99,964)	528,736
024	პერიოდის ნაშენები (დეკადიტი)					

* მოთხოვებულ შემოსავლები ასახული ფინანსური შედეგების ანგარიშების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია

** ასახული გრძელვადის აქტივების გაყიდვების მიღებულ შემოსავლებისა და ხარჯების შევაღწის სხვაობა

ლევან თოდია

სააგენტოს უფროსის

თარიღი: 21 ოქტომბერი, 2024

ა. ა. თოდია

მანანა ფარცენაძე
ფინანსური მუნიციპალი

გვერდი

5

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

სააგარიშგებო წელი 2023 წლის 31 დეკემბერი

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა *	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/ კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	საწყისი ნაშთი		-	2,905	864,138	867,043
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1	-	-	-	-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1	-	2,905	864,138	867,043
004	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	(722)	(99,242)	(99,964)
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება			-	-	-	-
005	დამუტომებლების შემატება		-	(722)	(99,242)	(99,964)
006	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი		-	-	-	-
007	მესაკუთრებულისათვის გასამაწილებელი თანხები		-	2,182	764,897	767,079
008	საბოლოო ნაშთი		-	-	-	-

სააგარიშგებო წელი 2022 წლის 31 დეკემბერი

სტრიქონის კოდი	დასახელება	შენიშვნა *	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/ კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	საწყისი ნაშთი		-	3,627	334,680	338,307
002	სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტული გამოყენება	N1	-	-	-	-
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება	N1	-	3,627	334,680	338,307
004	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი		-	(722)	529,458	528,736
წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება			-	-	-	-
005	დამუტომებლების შემატება		-	(722)	529,458	528,736
006	პერიოდის ნამეტი/დეფიციტი		-	-	-	-
007	მესაკუთრებულისათვის გასამაწილებელი თანხები		-	2,905	864,138	867,043
008	საბოლოო ნაშთი		-	-	-	-

* მითითებულ შენიშვნაში აისახება წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დებალური ინფორმაცია
ლევან თოლუა

სააგენტოს უფროსი

თარიღი: 21 ოქტომბერი, 2024

მანანა ფარუბანაძე
ფინანსური მენეჯერი

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა N1 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 სააგენტო და მისი საქმიანობა

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს (შემდგეში მოხსენიებული როგორც "სააგენტო") ფინანსურ ინფორმაციას.

სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო 2017 წლის 3 ივნისს დაარსდა თბილისში, საქართველოში. სააგენტოს სამართლებრივი ფორმა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე (ბალაში შესვლის თარიღი 2017 წლის 17 მაისი). სააგენტოს მთავარი ფუნქციაა საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკში არსებული ოზნიდენტი და არარზიდენტი ფიზიკური პირების, იურიდიული პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნის დეპოზიტების დაზღვევა.

სააგენტოს ძირითადი მიზნებია:

- დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- კომერციულ ბანკებში სადაზღვევო შემთხვევათა დადგომისას ფიზიკური პირების, იურიდიული პირების ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციების დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურება;
- კომერციულ ბანკებში სადაზღვევო შემთხვევათა დადგომისას კომერციული ბანკებიდან დეპოზიტების მასობრივი გადინების პრევენცია.

სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი. 2022 წლის სექტემბერში, სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე ღია კონკურსის გზით, შეირჩა და დაინიშნა ლევან თოდუა.

სააგენტოს ზეადამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და კომერციული ბანკების მიერ შერჩეული ორი დამოუკიდებელი წევრის შემსახურებით.

სააგენტოს იურიდიული მისამართია: საქართველო, 0114, თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1.

2 სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 4 თებერვლის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #24-ით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგნის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სააგენტო წარმოადგენს ფუნქციონირებად ერთეულს და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა.

გამოყენებული ნორმატიული აქტები:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგნის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;

შენიშვნა N1 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)

2 საადრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.1 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".

2.2 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და ანგარიშგების კომპონენტები

სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია სააგენტოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე და კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს);
- ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება;
- განმარტებით შენიშვნებს.

2.3 შეფასების საფუძველი

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია საწყისი (ისტორიული) დირექტულება.

2.4 ანგარიშგების თარიღი

სააგენტოს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2.5 საანგარიშგებო პერიოდი

სააგენტოს ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.6 საანგარიშგებო ვალუტა

სააგენტოს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას.

2.7 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარ მოვლენებს მიეკუთვნება ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის. მოვლენები, რომლებზეც ერთეულს გააჩნია მტკიცებულებები ანგარიშგების თარიღისათვის პირობების არსებობაზე, განიხილება ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებად, ხოლო მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნება ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილ პირობებზე – ანგარიშგების თარიღის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენებად.

ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების შემთხვევაში ხდება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება ან ისეთი მუხლების აღარება, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული, ხოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც დამტკიცით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

შენიშვნა N1 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)

2 საადრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.7 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები (გაგრძელება)

ამასთან, სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასა ან/და განმარტებით შენიშვნებში აისახება ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მხოლოდ ისეთი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და სააგენტოს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის პერიოდში.

2.8 მიმდინარე ინგესტიციები; გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

სააგენტო ფლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ, ორწლიანი და ხუთწლიანი ვადის მქონე, სახელმწიფო ობლიგაციებს.

ის ფასიანი ქაღალდები, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში, ადრიცხულია მიმდინარე ინგესტიციების სახით ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში. ხოლო, სხვა ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია გრძელვადიანი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით.

აღნიშნული აქტივების თავდაპირველი შეფასებისათვის გამოყენებულია ნომინალური ღირებულება, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის შეიძლება შემცირებულ იქნეს გაუფასურების ზარალის თანხებით.

2.9 მოვლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოვლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები მოიცავს დეპოზიტებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში.

2.10 მატერიალური მარაგები

სააგენტოს მატერიალური მარაგები ისეთი აქტივებია, რომლებიც გამოიყენება მომსახურების პროცესში ან გასასაწილებელი წედლეულისა და მასალების სახით ან განწილების მიზნით ინახება ოპერირების ჩვეულებრივ რეჟიმში. მატერიალური მარაგები სააგენტოში მოიცავს ქონებას, რომელიც მფლობელობაშია განაწილების მიზნით, მზა პროდუქციას, მოხმარებად წედლეულსა და მასალებს, შესავეთებელ მასალებს, მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილებს, გარდა ისეთი სათადარიგო ნაწილებისა, რომლებიც აკმაყოფილებს მირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, დაუმთავრებელ წარმოებას და სხვა მარაგებს.

მატერიალური მარაგების აღრიცხვისას სააგენტო იყენებს თვითდირებულების მეთოდს. მატერიალური მარაგების თვითდირებულება მოიცავს შემნის (ტრანსპორტირების, შენახვისა და წარმოებაზე გაწეული ხარჯების (დამხმარე მასალები და შრომითი დანასარჯი) გათვალისწინებით) დანასარჯეს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შატერიალური შარაგის თვითდირებულება არ შეიცავს შენახვისა და განაწილებასთან დაკავშირებულ დანასარჯებს. სააგენტო არ იყენებს სტანდარტის მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს მარაგის შეფასებას მის თვითდირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რადგან სააგენტო მატერიალური მარაგების რეალიზაციას არ ახდის.

არაგაცვლითი ოპერაციის შემთხვევაში მიღებული ისეთი მატერიალური მარაგების შეფასებისას, რომელთაც ღირებულება არ გააჩნიათ, სააგენტო მატერიალური მარაგების სამართლიან (რეალური) ღირებულებას ადგენს ბაზრის კვლევის შედეგად დადგენილი სანდო ინფორმაციის საფუძველზე.

მატერიალური მარაგის საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება საქონლის განაწილება, ან მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევისას. წებისმიერი მატერიალური მარაგის ჩამოწერის ღირებულება და ყველა დანაკარგი აღიარდება როგორც ხარჯები იმ პერიოდში, როდესაც ჩამოწერას ან დანაკარგს აქვს ადგილი.

მირითადი აქტივების მიმდინარე რემონტზე გამოყენებული მარაგები ჩამოიწერება პერიოდის დანახარჯებზე, შესაბამისი სადეფექტო აქტისა და შესრულებულ სამუშაოზე დახარჯული მასალების ხარჯვის აქტის საფუძველზე.

შენიშვნა N1 ფინანსური ანგარიშებების შენიშვნები (გაგრძელება)

2 საადრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.11 ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშებაში თავდაპირველად აისახება საწყისი (ისტორიული) დირებულებით, რომელიც ყოველწლიურად მცირდება ცვეთის თანხით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. საწყისი დირებულება მოიცავს ძირითადი აქტივების შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან.

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვისა და რემონტის დანახარჯები, რომლითაც არ იზრდება ძირითადი აქტივების დირებულება, განიხილება ხარჯებად, ხოლო არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება – განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმბლავრეს, ხარისხს ან ახალგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

სააგენტოს ძირითადი აქტივები შედგება სატრანსპორტო საშუალებების, კომპიუტერული ტექნოლოგიისა და ავეჯი და მოძრავი ქონებისგან, რომელთა საექსპლუატაციო ვადები მოცემულია ქვემოთ:

აქტივის ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	11.2 წელი
კომპიუტერული ტექნოლოგია	10-20 წელი
საოფისე ავეჯი და აღჭურვილობა	8-10 წელი

2.12 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი, განცალკევებადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე, რომელიც სააგენტომ მიიღო წარსული ქმედებების შედეგად. სააგენტოს აქვს შემდეგი ტიპის არამატერიალური აქტივები:

- კომპიუტერული პროგრამები;
- ვებ-აპლიკაციები;
- ლიცენზიები პროგრამული უზრუნველყოფისთვის.

არამატერიალური აქტივი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვისას სააგენტო იყენებს თვითღირებულების მეთოდს. არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

სააგენტო არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვას აწარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით. ამორტიზაცია არ ერთგება განვითარების ეტაპზე მუთ არამატერიალურ აქტივს, ასევე განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია დაერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად, თუ სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შესაძლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, წლიურად, 10 პროცენტის ოდენობით.

2.13 კრედიტორული დავალიანება

მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები შედგება სავაჭრო კრედიტებისგან.

საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების ღირებულებას წარმოადგენს მიღებული საქონლის ან მომსახურების ღირებულება.

შენიშვნა N1 ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები (გაგრძელება)

2 საადრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.13 კრედიტორული დავალიანება (გაგრძელება)

სხვა გრძელვადინი კრედიტორული დავალიანებები მოიცავს ბანკების მიერ გადახდილ სადაზღვევო შენატანებს, რომლებიც აკუმულირდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდში. ვინაიდან, 2021 წლის 4 თებერვლის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #24-ით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა არ მოიცავს სპეციალურ ანგარიშს ფონდის სახით, ანგარიშთა გეგმის დაზუსტებამდე აღნიშნული თანხები კლასიფიცირებულია მასთან შინაარსით ყველაზე ახლოს მყოფ გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების მუხლის ქვეშ.

სააგენტო ვალდებულებებს აღრიცხავს მოკლევადიანად (მიმდინარედ), თუ იგი ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც აკმაყოფილებს:

- ა) მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ბ) მირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- გ) უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- დ) სააგენტოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ვალდებულებების ის პირობები, რომლის მიხედვითაც ვალდებულებების დაფარვა შესაძლებელია წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების გზით, კონტრაგენტის სურვილის შესაბამისად, გავლენას არ ახდენს მის (ვალდებულებების) კლასიფიკაციაზე.

ყველა სხვა ვალდებულება, რომლებიც არ მიეკუთვნება მოკლევადიან ვალდებულებებს, გრძელვადიან ვალდებულებებად განიხილება.

2.14 წმინდა აქტივები/კაპიტალი

წმინდა აქტივები/კაპიტალი წარმოადგენს დამაბალანსებელ მუხლს, რომელიც გაანგარიშებულია აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობით.

2.15 გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის გაანგარიშებაში მონაწილეობს გასულ წლებში მიღებული ნამეტის/დეფიციტის გაუნაწილებელი თანხები, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის ნამეტის/დეფიციტის თანხა, რომელიც დარჩა გაუნაწილებელი. გაუნაწილებელ ნამეტსა და დეფიციტზე გავლენას ახდენს ასევე კაპიტალის კორექტირებები, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტული გამოყენებით ან წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშებით.

2.16 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა

სააგენტოს შემოსავლები მოიცავს დეპოზიტების დაზღვევის ფონდიდან გამოყოფილ სახსრებს ორგანიზაციის ოპერაციების დასაფინანსებლად.

